საქართველოს კანონი

განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მიზანია:

ა) შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები;

ბ) დაადგინოს ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებასა და ენერგიის ტრანსპორტის მიერ მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის საერთო წილის სავალდებულო ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები.

2. ეს კანონი ადგენს მხარდაჭერის სქემებთან, საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებს შორის სტატისტიკურ ტრანსფერებთან, საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარეების ერთობლივ პროექტებთან, საქართველოსა და მესამე ქვეყნების ერთობლივ პროექტებთან, წარმოშობის სერტიფიკატებთან, ადმინისტრაციულ პროცედურებთან, საინფორმაციო უზრუნველყოფასა და ტრენინგებთან, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიისა და ბიოგაზის ელექტროენერგეტიკულ ქსელსა და ბუნებრივი გაზის ქსელთან დაშვებასთან დაკავშირებულ ნორმებს, აგრეთვე ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აეროთერმული ენერგია – ატმოსფერულ ჰაერში სითბოს სახით დაგროვებული ენერგია;

ბ) ბიომასა – ბიოლოგიური წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნარჩენების ბიოდეგრადირებადი ნაწილი (მათ შორის, მცენარეული და ცხოველური ნივთიერებები), ხეტყისა და სატყეო მრეწველობის ნარჩენები, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მრეწველობის, მათ შორის, თევზის მეურნეობისა და თევზგადასამუშავებელი საწარმოს, ნარჩენები, აკვაკულტურის ნარჩენი, სამრეწველო და მუნიციპალური ნარჩენების ბიოდეგრადირებადი ნაწილი;

გ) ბიოსითხე – თხევადი საწვავი, რომელიც გამოიყენება ენერგეტიკული მიზნებისთვის, გარდა ტრანსპორტისა, და მოიცავს ბიომასისგან წარმოებულ ელექტროენერგიას, გათბობასა და გაგრილებას;

დ) ბიოსაწვავი – ბიომასისგან წარმოებული თხევადი ან აირადი საწვავი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებებისთვის გამოიყენება;

ე) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია – ენერგია, რომელიც განახლებადი წყაროებიდან მიიღება, კერძოდ, ქარის, მზისა და ოკეანის ენერგია, აეროთერმული ენერგია, გეოთერმული ენერგია, ჰიდროთერმული ენერგია, ჰიდროენერგია, ბიომასა, ნაგავსაყრელზე ორგანული მასალის დაშლის შედეგად მიღებული გაზი, წყალარინების გამწმენდ ნაგებობაში წარმოქმნილი გაზი, ბიოგაზი;

ვ) განახლებად ენერგიასთან დაკავშირებული ვალდებულება – ეროვნული მხარდაჭერის სქემა, რომელიც ენერგიის მწარმოებლისგან მოითხოვს, რომ მან განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მოცემული პროპორცია ჩართოს თავის წარმოებაში, აგრეთვე ენერგიის მიმწოდებლისგან მოითხოვს, რომ მან განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მოცემული პროპორცია ჩართოს თავის მიწოდებაში, ან ენერგიის მომხმარებლისგან მოითხოვს, რომ მან განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მოცემული პროპორცია ჩართოს თავის მოხმარებაში. აღნიშნული სქემა მოიცავს სქემებს, რომელთა ფარგლებშიც ასეთი მოთხოვნები შეიძლება მწვანე სერტიფიკატის გამოყენებით

შესრულდეს;

ზ) განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა – ათწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეიცავს ელექტროენერგიის მიწოდებასა და მოხმარებაში, ტრანსპორტის მიერ მოხმარებაში, გათბობისა და გაგრილებისთვის მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის ეროვნულ სამიზნეებს და განსაზღვრავს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ჯამურ საბოლოო მოხმარებაში სავალდებულო წილის ეროვნული სამიზნეების მიღწევის ღონისძიებების ჩამონათვალს;

თ) გეოთერმული ენერგია – მყარი ნიადაგის ზედაპირის ქვეშ სითბოს სახით დაგროვებული ენერგია;

ი) ეკონომიკური აგენტი – პირი (განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა), რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება, რომელიც ბაზრის მონაწილეა ან/და სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს;

კ) ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარება – ენერგიის შემცველი საქონელი, რომელიც ენერგეტიკული მიზნებისთვის მიეწოდება მრეწველობას, ტრანსპორტს, საყოფაცხოვრებო სექტორს, მომსახურების სფეროებს, მათ შორის, საჯარო მომსახურების სფეროებს, სოფლის მეურნეობას, სატყეო მრეწველობას, თევზის მეურნეობასა და თევზგადასამუშავებელ საწარმოს, ელექტროენერგიისა და სითბოს მწარმოებელი ენერგეტიკული ობიექტების მიერ ელექტროენერგიისა და სითბოს მოხმარება, ელექტროენერგიისა და სითბოს დანაკარგები ელექტროენერგიისა და სითბოს განაწილებისა და გადაცემის დროს;

ლ) კონკურენტული აუქციონი – ამ კანონით დადგენილ პრინციპებზე დაფუძნებული არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და კონკურენტული ვაჭრობის პროცესი, რომელშიც მნიშვნელოვანი რაოდენობის (ერთი ან რამდენიმე) ელექტროენერგიის მწარმოებელი მონაწილეობს და რომლის მხარდაჭერა შეზღუდულია აუქციონის ბიუჯეტის მოცულობით. კონკურენტული აუქციონის გამოცხადებისა და ჩატარების წესი უნდა ითვალისწინებდეს ინოვაციური ტექნოლოგიების უპირატესობას წარმოებული ენერგიის ფასთან მიმართებით. კონკურენტული აუქციონის წესი დამტკიცებამდე უნდა შეთანხმდეს სახელმწიფო დახმარების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან;

მ) მესამე ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარე არ არის;

ნ) მწვანე სერტიფიკატი – გაყიდვადი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ენერგიის მოცემული წილი ან რაოდენობა განახლებადი წყაროებიდან არის წარმოებული, და რომლით ვაჭრობაც შესაძლებელია განახლებადი ენერგიის მწარმოებლისგან დამოუკიდებლად. მწვანე სერტიფიკატის ფასი შეიძლება განისაზღვროს მინიმალური გარანტირებული ფასით;

ო) მხარდაჭერის სქემა – ინსტრუმენტი, სქემა ან მექანიზმი, რომელსაც საქართველო იყენებს დამოუკიდებლად ან ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ ერთ ან რამდენიმე მხარესთან ერთად და რომელიც ხელს უწყობს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის საქართველოში გამოყენებას მისი ღირებულების შემცირებით, გასაყიდი ფასის გაზრდით ან განახლებად ენერგიასთან დაკავშირებული ვალდებულების მეშვეობით ანდა სხვაგვარად ზრდის ამ ენერგიის შეძენილ მოცულობას. აღნიშნული სქემა აგრეთვე მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საინვესტიციო დახმარებას, გადასახადისგან გათავისუფლებას ან მის შემცირებას, გადასახადის დაბრუნებას, განახლებად ენერგიასთან დაკავშირებული ვალდებულების მხარდაჭერის სქემებს, მათ შორის, იმ სქემებს, რომლებიც იყენებს მწვანე სერტიფიკატებსა და პირდაპირი ფასის მხარდამჭერ სქემებს, რომლებიც სპეციალურ მწვანე ტარიფსა და პრემიალურ ტარიფს მოიცავს;

პ) პრემიალური ტარიფი – სატარიფო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც განახლებადი ენერგიის მწარმოებლის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას, საბითუმო ფასზე დამატებით, უზრუნველყოფს ფიქსირებული პრემიალური ანაზღაურებით. პრემიალური ტარიფი შეიძლება ცვალებადი იყოს. ცვალებადი პრემიალური ტარიფი გამოითვლება, როგორც საშუალო საბითუმო ფასსა და წინასწარ განსაზღვრულ გარანტირებულ ფასს შორის სხვაობა;

ჟ) სტანდარტული სიდიდე – წინასწარ განსაზღვრული ფაქტორების გამოყენებით ტიპური სიდიდიდან

მიღებული სიდიდე, რომელიც ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში შეიძლება ფაქტობრივი სიდიდის ნაცვლად იქნეს გამოყენებული;

რ) სპეციალური მწვანე ტარიფი – სატარიფო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც განახლებადი ენერგიის მწარმოებლის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას, საბითუმო ფასის გარდა, უზრუნველყოფს ფიქსირებული ანაზღაურებით;

ს) ტიპური სიდიდე – მოცემული სათბურის გაზის ემისიის სავარაუდო დანაზოგი კონკრეტული ბიოსაწვავის წარმოების მეთოდისთვის;

ტ) ფასთა სხვაობის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულების მხარე ვალდებულია განახლებადი ენერგიის მწარმოებელს აუნაზღაუროს გარანტირებულ ფასსა და საბითუმო ფასს შორის სხვაობა, თუ გარანტირებული ფასი საბითუმო ფასზე მაღალია. თუ საბითუმო ფასი გარანტირებულ ფასზე მაღალია, განახლებადი ენერგიის მწარმოებელი ვალდებულია ხელშეკრულების მხარეს აუნაზღაუროს საბითუმო ფასსა და გარანტირებულ ფასს შორის სხვაობა;

უ) ფაქტობრივი სიდიდე – კონკრეტული ბიოსაწვავის წარმოების რომელიმე ან ყველა ეტაპზე სათბურის გაზის ემისიის დანაზოგი, რომელიც გაანგარიშებულია ბიოსაწვავის, ბიოსითხეებისა და მათი წიაღისეული საწვავის კომპარატორების სათბურის გაზის გავლენის გამოთვლის წესებით დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ფ) ცენტრალური გათბობა ან ცენტრალური გაგრილება – სივრცის ან ტექნოლოგიური პროცესის გასათბობად ან გასაგრილებლად ორთქლის, ცხელი წყლის ან გაგრილებული სითხის სახით თერმული ენერგიის ქსელის მეშვეობით განაწილება წარმოების ცენტრალური წყაროდან სხვადასხვა შენობასა და მიწის ნაკვეთზე;

ქ) წარმოშობის სერტიფიკატი – ელექტრონული დოკუმენტი, რომლის ერთადერთი ფუნქციაა, საბოლოო მომხმარებელს დაუმტკიცოს, რომ ენერგიის მოცემული წილი ან რაოდენობა განახლებადი წყაროებიდან არის წარმოებული;

ღ) ჰიდროთერმული ენერგია – ზედაპირულ წყალში სითბოს სახით დაგროვებული ენერგია;

ყ) სტატისტიკური ტრანსფერი – განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის განსაზღვრული რაოდენობის მწვანე სერტიფიკატის მეშვეობით საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ერთი ან რამდენიმე ხელშემკვრელი მხარისთვის ანდა ენერგეტიკული გაერთიანების ერთი ან რამდენიმე ხელშემკვრელი მხარის მიერ საქართველოსთვის გადაცემა (მათ შორის, ნასყიდობა), რის შედეგადაც გადაცემული ენერგია ემატება მიმღები მხარის სავალდებულო ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებს და აკლდება გადამცემი მხარის სავალდებულო ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებს.

2. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერმინებისა, აქვს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მუხლი 3. საქართველოს სავალდებულო ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლების დადგენა და განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის გამოყენების ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს, რომ ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილი გაუთანაბრდეს სულ მცირე სამიზნე წლისთვის ამ კანონის I დანართით დადგენილ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის საქართველოს ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებს.

2. ამ მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო) შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება წაახალისებს და ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობასა და ენერგიის დაზოგვას.

3. სამინისტრო შეიმუშავებს ეფექტიან ღონისძიებებს, რათა განახლებადი წყაროებიდან მიღებული

ენერგიის წილი უტოლდებოდეს ან აღემატებოდეს ამ კანონის I დანართის მე-2 პუნქტით დადგენილ საორიენტაციო მაჩვენებელში მოცემულ წილს.

4. ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საქართველოს მთავრობას შეუძლია ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით სხვა ღონისძიებებთან ერთად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) მხარდაჭერის სქემების შემუშავება;

ბ) ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებთან ან/და მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობა.

5. იმის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ რამდენად დაუჭერს სახელმწიფო მხარს განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიას, რომელიც წარმოებულია ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის ან მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობა იღებს შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

6. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს, რომ 2030 წლისთვის ყველა სახეობის ტრანსპორტის მიერ მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილი საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტის მიერ ენერგიის საბოლოო მოხმარების სულ მცირე 10 პროცენტი იყოს.

7. ტრანსპორტში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილი გამოითვლება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ნორმატიული აქტით, კერძოდ:

ა) იმ მნიშვნელის გამოსათვლელად, რომელიც ყველა სახეობის ტრანსპორტის მიერ მოხმარებული ენერგიის საერთო რაოდენობას აღნიშნავს, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბენზინი, დიზელი და ბიოსაწვავი, რომლებსაც საავტომობილო ტრანსპორტი და სარკინიგზო ტრანსპორტი მოიხმარს, აგრეთვე ელექტროენერგია;

ბ) იმ მრიცხველის გამოსათვლელად, რომელიც ყველა სახეობის ტრანსპორტის მიერ მოხმარებული განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის საერთო რაოდენობას აღნიშნავს, გათვალისწინებული უნდა იქნეს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ყველა სახის ენერგია, რომელსაც ყველა სახეობის ტრანსპორტი მოიხმარს;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილისა და ყველა სახეობის ელექტროსატრანსპორტო საშუალების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის წილის გამოსათვლელად საქართველოს მთავრობა იყენებს საქართველოში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წილს, რომელიც გამოთვლილია განსახილველ წლამდე 2 წლით ადრე;

დ) საგზაო ელექტროსატრანსპორტო საშუალებების მიერ მოხმარებული განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის გამოსათვლელად მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ეს მოხმარება 2.5-ზე გამრავლებული განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის ენერგეტიკული შემცველობის ტოლია.

მუხლი 4. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა

1. საქართველოს მთავრობა სამინისტროს წარდგინებით ნორმატიული აქტით ამტკიცებს განახლებადი ენერგიის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. ამ გეგმას სამინისტრო 2 წელიწადში ერთხელ აახლებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

2. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა ადგენს 2030 წლისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის საქართველოს ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებს, რომელიც მოიხმარება ტრანსპორტის, ელექტროენერგეტიკის და გათბობისა და გაგრილების სფეროებში, შესაბამისი პოლიტიკის სხვა ღონისძიებების ეფექტის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია ენერგიის საბოლოო მოხმარების ენერგოეფექტურობასთან. განახლებადი ენერგიის

ეროვნული სამოქმედო გეგმით აგრეთვე დგინდება საქართველოს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლების მიღწევისთვის მისაღები ადეკვატური ზომები, მათ შორის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებს შორის თანამშრომლობა, დაგეგმილი სტატისტიკური ტრანსფერები, ერთობლივი პროექტების, ბიომასის არსებული რესურსების განვითარებისა და ბიომასის ახალი რესურსების სხვადასხვაგვარი გამოყენებისთვის მობილიზების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, აგრეთვე სხვა ზომები, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს ამ კანონის მოთხოვნების შესასრულებლად.

3. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტის გამოქვეყნებას მის დამტკიცებამდე 6 თვით ადრე და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის საპროგნოზო დოკუმენტის წარდგენას. ეს დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის შეფასებული, საორიენტაციო მაჩვენებელთან შედარებით ჭარბი წარმოება, რომელიც შეიძლებოდა გადასცემოდა ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელ მხარეს ან მესამე ქვეყანას ამ კანონის შესაბამისად, აგრეთვე ერთობლივი პროექტების შეფასებული პოტენციალი 2030 წლამდე;

ბ) განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიაზე მოთხოვნილება, რომელიც 2030 წლამდე, ეროვნული წარმოების გარდა, სხვა საშუალებით უნდა დაკმაყოფილდეს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ხარჯებთან, სარგებელსა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

5. სამინისტრო ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადებისას შეიმუშავებს საპროგნოზო დოკუმენტს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

6. თუ წინა 2 წლის განმავლობაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილი ამ კანონის I დანართის მე-2 პუნქტით დადგენილ საორიენტაციო მაჩვენებელში მოცემულ წილზე ნაკლები იქნება, საქართველოს მთავრობამ მომდევნო წლის 30 ივნისისთვის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს უნდა წარუდგინოს განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესწორებული პროექტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება ადეკვატური და პროპორციული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის ამ კანონის I დანართის მე-2 პუნქტით დადგენილ საორიენტაციო მაჩვენებელში მოცემული წილის ნიშნულთან გონივრულ ვადაში დასაბრუნებლად.

7. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტზე ან განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესწორებულ პროექტზე რეკომენდაციების გაცემის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გაითვალისწინოს ეს რეკომენდაციები ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებების ადეკვატურად.

8. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი დგება განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესის შესაბამისად.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №7023 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 5. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის გამოთვლა

1. საქართველოში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარება უნდა გამოითვალოს, როგორც შემდეგი მაჩვენებლების ჯამი:

ა) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარება;

ბ) გათბობისა და გაგრილებისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარება;

გ) ტრანსპორტის მიერ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის საბოლოო მოხმარება.

2. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარების წილის გამოთვლისას განახლებადი წყაროებიდან მიღებული გაზი, ელექტროენერგია და წყალბადი გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მაჩვენებლებში.

3. ბიოსაწვავი და ბიოსითხე, რომლებიც ამ კანონით დადგენილ მდგრადობის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარების წილის გამოთვლისას გათვალისწინებული არ უნდა იქნეს.

4. თუ საქართველოს მთავრობა გადაწყვეტს, რომ ფორსმაჟორული გარემოების გამო მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის მაჩვენებელი 2030 წლისთვის, მან ამის შესახებ შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

5. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარება უნდა გამოითვალოს, როგორც იმ ელექტროენერგიის რაოდენობა, რომელიც განახლებადი წყაროებიდან არის წარმოებული საქართველოში. ამ ელექტროენერგიის მოცულობა არ მოიცავს იმ წყლისგან წარმოებულ ელექტროენერგიას, რომელიც ჰიდრომააკუმულირებელ სადგურში ადრე ხელმეორედ იქნა ამოტუმბული.

6. სხვადასხვა ტიპის საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებში, რომლებიც ენერგიის განახლებად და წიაღისეულ (არაგანახლებად) წყაროებს იყენებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს ელექტროენერგიის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც განახლებადი წყაროებიდან არის მიღებული. ამ მიზნით თითოეული ენერგიის წყაროს წილი მისი ენერგიის შემცველობის საფუძველზე უნდა გამოითვალოს.

7. ჰიდროელექტროსადგურისა და ქარის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერგია უნდა ჩაითვალოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში, რომელიც განსაზღვრულია „ჰიდროენერგიისა და ქარის ენერგიისგან გამომუშავებული ელექტროენერგიის აღრიცხვის ნორმალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სამინისტროს სამართლებრივი აქტით.

8. გათბობისა და გაგრილებისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარება გამოითვლება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ცენტრალური გათბობისა და ცენტრალური გაგრილების რაოდენობისა და გათბობისთვის, გაგრილებისა და დამუშავების პროცესისთვის მოხმარებული განახლებადი წყაროებიდან მიღებული სხვა ენერგიების ჯამი, რომლებიც მრეწველობაში, საყოფაცხოვრებო სექტორში, მომსახურების სფეროებში, სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობის მეურნეობაში მოიხმარება.

9. სხვადასხვა ტიპის საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებში, რომლებიც ენერგიის განახლებად და წიაღისეულ (არაგანახლებად) წყაროებს იყენებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ განახლებადი წყაროებიდან მიღებული გათბობისა და გაგრილების ნაწილი. ამ მიზნით თითოეული ენერგიის წყაროს წილი მისი ენერგიის შემცველობის საფუძველზე უნდა გამოითვალოს.

10. თბური ტუმბოებიდან მიღებული აეროთერმული ენერგია, გეოთერმული ენერგია და ჰიდროთერმული ენერგია გათვალისწინებული უნდა იქნეს გათბობისა და გაგრილებისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში იმ პირობით, რომ ენერგიის საბოლოო გამომუშავება მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს პირველად მიწოდებული ენერგიის რაოდენობას, რომელიც საჭიროა თბური ტუმბოების ასამუშავებლად. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, იმ სითბოს რაოდენობა, რომელიც მიჩნეულია განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიად, უნდა გამოითვალოს თბური ტუმბოებიდან მიღებული ენერგიის აღრიცხვის წესით დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

11. პასიური ენერგეტიკული სისტემების მიერ გამომუშავებული თბური ენერგია, რომლის

ფარგლებშიც ენერგიის დაბალი მოხმარება პასიურად მიღწეულია ნაგებობების დაპროექტებით ან ენერგიის წიაღისეული (არაგანახლებადი) წყაროებიდან მიღებული სითბოს მეშვეობით, გათბობისა და გაგრილებისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში გათვალისწინებული არ უნდა იქნეს.

12. ამ კანონის II დანართში ჩამოთვლილ სატრანსპორტო საწვავში ენერგიის შემცველობა უნდა განისაზღვროს იმავე დანართის შესაბამისად. შესაძლებელია ამ კანონის II დანართის ადაპტირება ტექნიკური და მეცნიერული პროგრესის შესაბამისად.

13. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის გამოსათვლელად განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარება იყოფა ენერგიის ყველა წყაროდან მიღებული ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაზე. ეს წილი გამოხატულია პროცენტულად.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტის მიზნიდან გამომდინარე, ამავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მაჩვენებლების ჯამი უნდა დაზუსტდეს ამ კანონით გათვალისწინებული სტატისტიკური ტრანსფერების, ერთობლივი პროექტების შედეგებისა და ერთობლივი მხარდაჭერის სქემების მიხედვით.

15. ამ კანონით დადგენილი სამიზნე მაჩვენებლებისა და საორიენტაციო მაჩვენებლის შესაბამისობის შეფასების მიზნით საქართველოს მიერ ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარების გამოთვლისას მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ავიაციაში მოხმარებული ენერგიის რაოდენობა, საქართველოს მიერ ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარების პროპორციულად, 6.18 პროცენტს არ აღემატება.

16. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის გამოთვლის მეთოდოლოგია მტკიცდება სამინისტროს წარდგინებით საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

მუხლი 6. სტატისტიკური ტრანსფერი საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეს შორის

1. საქართველო და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარე შეიძლება შეთანხმდნენ და განახორციელონ ღონისძიებები განახლებადი წყაროებიდან მიღებული განსაზღვრული რაოდენობის ენერგიის სტატისტიკური ტრანსფერისთვის საქართველოდან ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ან ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან საქართველოში. გადაცემული ენერგიის რაოდენობა:

ა) უნდა გამოაკლდეს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის რაოდენობას, რაც გაითვალისწინება სტატისტიკური ტრანსფერის განმახორციელებელი ქვეყნის მიერ სავალდებულო ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების დროს;

ბ) უნდა დაემატოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის რაოდენობას, რაც გაითვალისწინება სტატისტიკური ტრანსფერის მიმღები ქვეყნის მიერ სავალდებულო ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების დროს.

2. საქართველოს მიერ სტატისტიკური ტრანსფერის განხორციელებისას ამ ტრანსფერმა უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს საქართველოს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის მიღწევაზე.

3. სტატისტიკური ტრანსფერი შეიძლება გაგრძელდეს ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ ღონისძიების შესახებ უნდა ეცნობოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მისი განხორციელების თითოეული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის გაგზავნილი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს გამოყენებული ენერგიის რაოდენობისა და ღირებულების შესახებ ინფორმაციას.

4. სტატისტიკური ტრანსფერი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასში ჩართული ენერგეტიკული გაერთიანების ყველა ხელშემკვრელი მხარე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს შეატყობინებს ამ სტატისტიკური ტრანსფერის შესახებ.

5. ამ მუხლის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება ევროკავშირის წევრ ქვეყანასთან ევროკავშირის

ტერიტორიიდან საქართველოში ან საქართველოდან ევროკავშირის ტერიტორიაზე განხორციელებულ სტატისტიკურ ტრანსფერებზე.

მუხლი 7. საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის ერთობლივი პროექტი

1. საქართველოს მთავრობა და ენერგეტიკული გაერთიანების ერთი ან რამდენიმე ხელშემკვრელი მხარის უფლებამოსილი ორგანო (ორგანოები) შეიძლება თანამშრომლობდნენ ნებისმიერი სახის ერთობლივი პროექტის განხორციელებისას, რომელიც განახლებადი წყაროებიდან წარმოებულ ელექტროენერგიას, გათბობასა და გაგრილებას შეეხება. ამ თანამშრომლობაში შეიძლება ჩართული იყვნენ კერძო ოპერატორები.

2. საქართველოს მთავრობამ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს უნდა შეატყობინოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის, გათბობის ან გაგრილების პროპორციის ან რაოდენობის შესახებ, რომელიც წარმოებულია საქართველოში (გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა) საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერი ერთობლივი პროექტის ფარგლებში და რომლის ექსპლუატაცია დაიწყო ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ან იმ დანადგარის გაზრდილი მოცულობის საფუძველზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ განახლდა. ეს შეტყობინება გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელი მხარის მიერ ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით გამოთვლის განხორციელებისას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული შეტყობინება:

ა) უნდა აღწერდეს შემოთავაზებულ დანადგარს ან უნდა ახდენდეს განახლებული დანადგარის იდენტიფიცირებას;

ბ) უნდა მიუთითებდეს შესაბამისი დანადგარის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის, გათბობის ან გაგრილების პროპორციას ან რაოდენობას, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელი მხარის მიერ ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის გამოთვლისას;

გ) უნდა განსაზღვრავდეს ენერგეტიკული გაერთიანების იმ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც მომზადდა ეს შეტყობინება;

დ) უნდა განსაზღვრავდეს კალენდარული წლებისგან შემდგარ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი დანადგარის მიერ განახლებადი წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერგია, გათბობა ან გაგრილება გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელი მხარის მიერ ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის გამოთვლისას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერიოდი არ უნდა აჭარბებდეს 2030 წელს. ერთობლივი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება გასცდეს 2030 წელს.

5. საქართველოს მთავრობის მიერ ამ მუხლის შესაბამისად მომზადებული შეტყობინება არ შეიძლება შეცვლილ ან გამოთხოვილ იქნეს საქართველოს მთავრობისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს (ორგანოების) ერთობლივი შეთანხმების გარეშე.

მუხლი 8. საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის ერთობლივი პროექტის შედეგები

1. იმ პერიოდში მოქცეული თითოეული წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი დანადგარის მიერ განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგია, გათბობა ან გაგრილება გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელი მხარის ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის ამ კანონის შესაბამისად გამოთვლისას, სამინისტრომ უნდა მოამზადოს წერილობითი შეტყობინება. ამ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) შესაბამისი დანადგარის მიერ მთელი წლის განმავლობაში განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის, გათბობის ან გაგრილების საერთო რაოდენობა, რომელიც ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად მომზადებული შეტყობინების საგანი იყო;

ბ) მთელი წლის განმავლობაში იმ დანადგარის მიერ განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის, გათბობის ან გაგრილების რაოდენობა, რომელიც უნდა აისახოს ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელი მხარის ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის მიმართ, შეტყობინების პირობების შესაბამისად.

2. საქართველოს მთავრობამ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეტყობინება უნდა გაუგზავნოს ენერგეტიკული გაერთიანების იმ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც მომზადდა ეს შეტყობინება, და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

3. სამიზნე მაჩვენებლების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისთვის, რომელიც ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებს შეეხება, განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის, გათბობისა და გაგრილების რაოდენობა, რომლის შესახებ შეტყობინებაც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მომზადდა და გაიგზავნა, უნდა გამოაკლდეს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის, გათბობისა და გაგრილების რაოდენობას, რაც გაითვალისწინება ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებთან საქართველოს შესაბამისობის შეფასების დროს.

მუხლი 9. საქართველოსა და მესამე ქვეყნის ერთობლივი პროექტი

1. საქართველო დამოუკიდებლად ან ენერგეტიკული გაერთიანების ერთ ან რამდენიმე ხელშემკვრელ მხარესთან ერთად შეიძლება თანამშრომლობდეს ერთ ან რამდენიმე მესამე ქვეყანასთან ნებისმიერი სახის ერთობლივი პროექტის განხორციელებისას, რომელიც განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოებას შეეხება.

2. მესამე ქვეყანაში განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგია გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისთვის, რომელიც ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებს შეეხება, თუ დაცულია შემდეგი პირობები:

ა) განახლებადი წყაროებიდან წარმოებულ ელექტროენერგიას საქართველო მოიხმარს. ეს მოთხოვნა შესრულებულად მიიჩნევა, თუ:

ა.ა) აღრიცხული ელექტროენერგიის ეკვივალენტური ელექტროენერგიის რაოდენობა მტკიცე პოზიციით არის ნომინირებული განაწილებულ ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობაზე პასუხისმგებელი ყველა გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ როგორც წარმომავლობის ქვეყანაში, ისე საქართველოში და შესაბამის შემთხვევაში თითოეულ სატრანზიტო მესამე ქვეყანაში;

ა.ბ) აღრიცხული ელექტროენერგიის ეკვივალენტური რაოდენობა მტკიცე პოზიციით არის რეგისტრირებული ბალანსის გრაფიკში პასუხისმგებელი გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ სისტემათაშორისი გადამცემი ქსელის (ურთიერთდამაკავშირებლის) საქართველოს მხარეს;

ა.გ) ნომინირებული სიმძლავრე და ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანადგარის მიერ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოება ერთსა და იმავე პერიოდს შეეხება;

ბ) ელექტროენერგია გამომუშავებულია ახალაშენებული დანადგარის მიერ, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ან 2018 წლის 30 ივნისის შემდეგ განახლებული დანადგარის გაზრდილი სიმძლავრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში;

გ) ელექტროენერგიის წარმოებულ და ექსპორტირებულ რაოდენობას არ უსარგებლია იმ პრივილეგიებით, რომლებსაც მესამე ქვეყნის მხარდაჭერის სქემა ითვალისწინებს, გარდა შესაბამისი დანადგარისთვის გაცემული საინვესტიციო დახმარებისა.

3. ამ კანონის მე-5 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას შეუძლია მიმართოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს, რათა მესამე ქვეყანაში განახლებადი წყაროებიდან წარმოებული და საქართველოს მიერ მოხმარებული ელექტროენერგია გათვალისწინებულ იქნეს საქართველოსა და მესამე ქვეყანას შორის სისტემათაშორისი გადამცემი ქსელის (ურთიერთდამაკავშირებლის) მშენებლობის გრძელვადიანი პროექტის კონტექსტში, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები:

ა) სისტემათაშორისი გადამცემი ქსელის (ურთიერთდამაკავშირებლის) მშენებლობა 2027 წლის 31 დეკემბრისთვის დაიწყება;

ბ) სისტემათაშორისი გადამცემი ქსელის (ურთიერთდამაკავშირებლის) ექსპლუატაციაში შესვლა 2030 წლის 31 დეკემბრისთვის შეუძლებელია, მაგრამ მისი ექსპლუატაციაში შესვლა შესაძლებელია არაუგვიანეს 2032 წლის 31 დეკემბრისა;

გ) სისტემათაშორისი გადამცემი ქსელის (ურთიერთდამაკავშირებლის) ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ იგი გამოყენებული იქნება განახლებადი წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის ენერგეტიკულ გაერთიანებაში ექსპორტისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

დ) შესაბამისი განაცხადი შეეხება ერთობლივ პროექტს, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, გამოიყენებს სისტემათაშორის გადამცემ ქსელს (ურთიერთდამაკავშირებელს) მისი ამოქმედების შემდეგ და უკავშირდება ელექტროენერგიის იმ რაოდენობას, რომელიც სისტემათაშორისი გადამცემი ქსელის (ურთიერთდამაკავშირებლის) ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ენერგეტიკულ გაერთიანებაში ექსპორტირებული ენერგიის რაოდენობას არ აღემატება.

4. მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე შესაბამისი დანადგარის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის პროპორცია ან რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის, მათ შორის, საქართველოს, ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლების გამოთვლისას, უნდა ეცნობოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს. თუ საქმე ეხება ენერგეტიკული გაერთიანების რამდენიმე ხელშემკვრელ მხარეს, ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს უნდა ეცნობოს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეთა შორის ელექტროენერგიის პროპორციისა და რაოდენობის განაწილების შესახებ. ეს პროპორცია და რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ენერგეტიკულ გაერთიანებაში რეალურად ექსპორტირებულ და მოხმარებულ ელექტროენერგიის პროპორციასა და რაოდენობას, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ რაოდენობებს და უნდა აკმაყოფილებდეს იმავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. საქართველოს მთავრობა სამინისტროს შეტყობინების საფუძველზე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს აცნობებს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლების გამოთვლისას გასათვალისწინებელ ელექტროენერგიის პროპორციას ან რაოდენობას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული შეტყობინება:

ა) უნდა აღწერდეს შემოთავაზებულ დანადგარს ან უნდა ახდენდეს განახლებული დანადგარის იდენტიფიცირებას;

ბ) უნდა აღწერდეს წარმოებული ელექტროენერგიის პროპორციასა და რაოდენობას, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს მიერ ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის გამოთვლისას, აგრეთვე უნდა აღწერდეს სათანადო ფინანსურ ღონისძიებებს კონფიდენციალურობის მოთხოვნების შესაბამისად;

გ) უნდა განსაზღვრავდეს კალენდარული წლებისგან შემდგარ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც წარმოებული ელექტროენერგია გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს მიერ ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის გამოთვლისას;

დ) უნდა შეიცავდეს იმ მესამე ქვეყნის მიერ, რომლის ტერიტორიაზედაც შესაბამისი დანადგარი ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს, ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მონაცემთა გათვალისწინების წერილობით აღიარებას, აგრეთვე უნდა მიუთითებდეს დანადგარის მიერ

წარმოებული ელექტროენერგიის პროპორციასა და რაოდენობას, რომელსაც მესამე ქვეყანა მოიხმარს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერიოდი არ უნდა აჭარბებდეს 2030 წელს. ერთობლივი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება გასცდეს 2030 წელს.

7. ამ მუხლის შესაბამისად მომზადებული და გაგზავნილი შეტყობინება არ შეიძლება შეცვლილ ან გამოთხოვილ იქნეს საქართველოს მთავრობისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთობლივი პროექტის შემთანხმებელი მესამე ქვეყნის ერთობლივი შეთანხმების გარეშე.

მუხლი 10. საქართველოსა და მესამე ქვეყნის ერთობლივი პროექტის შედეგები

1. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში მოქცეული თითოეული წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში სამინისტრომ იმავე მუხლის შესაბამისად უნდა მოამზადოს წერილობითი შეტყობინება. ამ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) შესაბამისი დანადგარის მიერ მთელი წლის განმავლობაში განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის საერთო რაოდენობის შესახებ, რომელიც ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად მომზადებული შეტყობინების საგანი იყო;

ბ) მთელი წლის განმავლობაში იმ დანადგარის მიერ განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობის შესახებ, რომელიც უნდა აისახოს საქართველოს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის მიმართ, ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად მომზადებული და გაგზავნილი შეტყობინების პირობების შესაბამისად;

გ) ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მტკიცებულების შესახებ.

2. საქართველოს მთავრობამ შეტყობინების მიზნით წერილი უნდა გაუგზავნოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს და იმ მესამე ქვეყანას, რომელმაც შეითანხმა ერთობლივი პროექტი ამ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. სამიზნე მაჩვენებლების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისთვის, რომელიც ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებს შეეხება, განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობა, რომლის შესახებ შეტყობინებაც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მომზადდა და გაიგზავნა, უნდა დაემატოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის რაოდენობას, რაც გაითვალისწინება საქართველოს შესაბამისობის შეფასების დროს.

მუხლი 11. მხარდაჭერის სქემები

1. სამინისტრო ამ კანონის შესაბამისად შეიმუშავებს მხარდაჭერის სქემებს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას. მხარდაჭერის სქემა დამტკიცებამდე კონკურენციის პრინციპების გათვალისწინების მიზნით უნდა შეთანხმდეს სახელმწიფო დახმარების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან. მხარდაჭერის სქემა აგრეთვე მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საინვესტიციო დახმარებას, გადასახადისგან გათავისუფლებას ან მის შემცირებას, გადასახადის დაბრუნებას, განახლებად ენერგიასთან დაკავშირებული ვალდებულების მხარდაჭერის სქემებს, მათ შორის, იმ სქემებს, რომლებიც იყენებს მწვანე სერტიფიკატებსა და პირდაპირი ფასის მხარდამჭერ სქემებს, რომლებიც სპეციალურ მწვანე ტარიფსა და პრემიალურ ტარიფს მოიცავს.

2. ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველომ და ენერგეტიკული გაერთიანების სხვა, ერთმა ან რამდენიმე ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება გადაწყვიტონ ნებაყოფლობითობის საფუძველზე თავიანთი ეროვნული მხარდაჭერის სქემების გაერთიანება ან ნაწილობრივ კოორდინაცია. ასეთ შემთხვევაში ენერგეტიკული გაერთიანების ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის, მათ შორის, საქართველოს, ტერიტორიაზე განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს ენერგეტიკული გაერთიანების ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის, მათ შორის, საქართველოს, სავალდებულო ეროვნული საერთო

სამიზნე მაჩვენებლის გამოთვლისას, თუ ენერგეტიკული გაერთიანების დაინტერესებული ხელშემკვრელი მხარეები:

ა) ამ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად განახორციელებენ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის განსაზღვრული რაოდენობის სტატისტიკურ ტრანსფერს ენერგეტიკული გაერთიანების ერთი ხელშემკვრელი მხარის, მათ შორის, საქართველოს, ტერიტორიიდან ენერგეტიკული გაერთიანების მეორე ხელშემკვრელი მხარის, მათ შორის, საქართველოს, ტერიტორიაზე;

ბ) დაადგენენ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებთან, მათ შორის, საქართველოსთან, შეთანხმებულ განაწილების წესს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებს, მათ შორის, საქართველოს, შორის გასანაწილებლად. საქართველოს მთავრობამ ამ განაწილების წესის შესახებ უნდა შეატყობინოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მისი ამოქმედების შემდეგ პირველი წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ყოველი წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს შეტყობინების მიზნით უნდა გაუგზავნოს წერილი, რომელშიც მითითებული იქნება მთელი წლის განმავლობაში განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის, გათბობის ან გაგრილების საერთო რაოდენობა, რომელიც განაწილების წესს ექვემდებარება.

4. ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც საერთო ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს შეეხება, განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის, გათბობის ან გაგრილების რაოდენობა, რომლის შესახებ შეტყობინებაც ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს გაეგზავნა, შეტყობინებული განაწილების წესის შესაბამისად ხელახლა უნდა განაწილდეს ენერგეტიკული გაერთიანების დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეებს, მათ შორის, საქართველოს, შორის.

5. ამ მუხლით დადგენილი წესის ანალოგიური წესით რეგულირდება საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ განხორციელებული ერთობლივი მხარდაჭერის სქემები.

მუხლი 12. სიმძლავრის გაზრდა

ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ერთეულები, რომლებმაც გავლენა მოახდინა შესაბამისი დანადგარის სიმძლავრის გაზრდაზე, უნდა ჩაითვალოს იმ განცალკევებული დანადგარის მიერ წარმოებულად, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა სიმძლავრის გაზრდის მომენტში. ასეთი განცალკევებული დანადგარის მიერ წარმოებული ენერგია გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლის შესრულების ანგარიშში.

მუხლი 13. ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელების პრინციპები, მარეგულირებელი ნორმები და წესები

1. განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის, გათბობის ან გაგრილების წარმოების წესი, ბიომასის ბიოსაწვავად ან სხვა ენერგოპროდუქტად გარდაქმნის პროცესთან დაკავშირებული წარმოების წესი, აგრეთვე ამ წარმოებასთან დაკავშირებული გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების ინფრასტრუქტურის ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების პროცედურების განმსაზღვრელი ნებისმიერი წესი უნდა იყოს აუცილებელი და ამ აუცილებლობის პროპორციული.

2. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების, აგრეთვე სივრცითი დაგეგმარების პროცედურების განხორციელებისთვის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ნათლად განსაზღვრული პასუხისმგებლობა და კოორდინირებული ქმედებების განხორციელება, მათ შორის, დაგეგმვისა და მშენებლობის შესახებ განაცხადების

განსაზღვრის გამჭვირვალე განრიგის არსებობა;

ბ) განახლებადი ენერგიის დანადგარების ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების შესახებ განაცხადების დამუშავების თაობაზე ამომწურავი ინფორმაციის არსებობა, აგრეთვე განმცხადებლებისთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობა (ხელმისაწვდომობა) შესაბამის დონეზე;

გ) ადმინისტრაციული პროცედურების გაუმჯობესება და მათი განხორციელების დაჩქარება ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე;

დ) ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების მარეგულირებელი წესების ობიექტურობა, გამჭვირვალობა და პროპორციულობა, ამ წესებით განმცხადებლების მიმართ არადისკრიმინაციული დამოკიდებულების უზრუნველყოფა და განახლებადი ენერგიის თითოეული ტექნოლოგიის თავისებურების სრულად გათვალისწინება;

ე) მომხმარებლების, დამპროექტებლების, არქიტექტორების, მშენებლების, აღჭურვილობისა და სისტემის მემონტაჟეებისა და მიმწოდებლების მიერ გადახდილი ადმინისტრაციული მოსაკრებლის გამჭვირვალობა და ამ მოსაკრებლის მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან შესაბამისობა;

ვ) მცირე პროექტებისა და დეცენტრალიზებული მოწყობილობებისთვის, რომლებიც ენერგიას განახლებადი წყაროებიდან აწარმოებს, გამარტივებული და ნაკლებად დამამძიმებელი პროცედურების დადგენა, რომლებიც პროცესის მარტივი შეტყობინების საფუძველზე განხორციელებას მოიცავს. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობით.

3. საქართველოს მთავრობა შესაბამის მხარდაჭერის სქემაში განსაზღვრავს იმ ტექნიკურ მახასიათებლებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განახლებადი ენერგიის აღჭურვილობა და სისტემები მხარდაჭერის სქემით სარგებლობისათვის. ეს ტექნიკური მახასიათებლები არ უნდა იყოს განახლებადი ენერგიის ანალოგიური აღჭურვილობისა და სისტემებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებზე ნაკლები.

4. საქართველოს მთავრობა რეკომენდაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებს, რომ სამრეწველო და საცხოვრებელი ტერიტორიების დაგეგმვის, დაპროექტების, მშენებლობისა და განახლების დროს აღჭურვილობისა და სისტემების დამონტაჟება განხორციელდეს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის, გათბობისა და გაგრილების და ცენტრალური გათბობისა და ცენტრალური გაგრილების გამოსაყენებლად.

5. საქართველოს მთავრობამ უნდა წაახალისოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოები, რათა მათ განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული გათბობა და გაგრილება გაითვალისწინონ დასახლებული პუნქტების ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას.

6. საქართველოს მთავრობა კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მშენებლობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით სათანადო მარეგულირებელი ნორმების დანერგვას სამშენებლო სექტორში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ყველა სახის ენერგიის წილის გაზრდის მიზნით.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განსაზღვრისას ან რეგიონული მხარდაჭერის სქემების შემუშავებისას საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გაითვალისწინოს ენერგოეფექტურობის მნიშვნელოვან ზრდასთან, კოგენერაციასა და პასიური, დაბალი ან ნულოვანი ენერგეტიკული ხარჯის მქონე შენობებთან დაკავშირებით დადგენილი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები.

8. საქართველოს მთავრობა კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ მშენებლობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში 2024 წლის 31 დეკემბრამდე გათვალისწინებულ იქნეს ახალ შენობებში, აგრეთვე არსებულ შენობებში, რომლებიც საფუძვლიან რეკონსტრუქციას საჭიროებს, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მინიმალური დონის გამოყენების ვალდებულება. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს აღნიშნული მინიმალური დონის გამოყენების ვალდებულების შესრულებას, მათ შორის, ცენტრალური გათბობისა და ცენტრალური გაგრილების

სისტემებში განახლებადი წყაროების მნიშვნელოვანი წილის გამოყენებით.

9. ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა თავდაცვის ძალებზე ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნის შესრულება არ ეწინააღმდეგება თავდაცვის ძალების საქმიანობის ხასიათსა და პირველად მიზანს, გარდა იმ მასალებთან დაკავშირებული მოთხოვნისა, რომლებიც მხოლოდ სამხედრო დანიშნულებით გამოიყენება.

10. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს, რომ საჯარო დანიშნულების ახალ შენობებში, აგრეთვე არსებულ შენობებში, რომლებიც საფუძვლიან რეკონსტრუქციას საჭიროებს, ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე უზრუნველყოფილ იქნეს ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა 2022 წლის 1 იანვრიდან.

11. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა თითქმის ნულოვანი ენერგეტიკული ხარჯის მქონე შენობებისთვის განკუთვნილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილებით ან იმის უზრუნველყოფით, რომ მესამე მხარემ საჯარო ან შერეული ტიპის, კერძო-საჯარო შენობების სახურავები იმ დანადგარებისთვის გამოიყენოს, რომლებიც ენერგიას განახლებადი წყაროებიდან გამოიმუშავებს.

12. საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს მშენებლობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული გათბობისა და გაგრილების სისტემებისა და მოწყობილობების გამოყენების ვალდებულების გათვალისწინებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ენერგიის მოხმარებას. საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ენერგეტიკული ან ეკოლოგიური ეტიკეტები ან სხვა სათანადო სერტიფიკატები ან სტანდარტები, როგორც ასეთი სისტემებისა და მოწყობილობების ხელშეწყობის საფუძველი.

13. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ბიომასის შემთხვევაში ხელს შეუწყობს მისი გადამუშავების ტექნოლოგიებს, რომელთა მეშვეობითაც მიღწეული იქნება გადამუშავების სულ მცირე 85%-იანი ეფექტიანობის მაჩვენებელი საყოფაცხოვრებო ან კომერციული მიზნით გამოყენებისას და სულ მცირე 70%-იანი ეფექტიანობის მაჩვენებელი სამრეწველო მიზნით გამოყენებისას.

14. სამინისტრო უზრუნველყოფს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც თბური ტუმბოების შემთხვევაში ხელს შეუწყობს იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც აკმაყოფილებს თბური ტუმბოების ეკოლოგიური ეტიკეტირების მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია ეკოლოგიური ეტიკეტირების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით, კერძოდ, ელექტრო-, გაზისა და გაზის აბსორბციული თბური ტუმბოების ეკოლოგიური ეტიკეტირების ეკოლოგიურ კრიტერიუმებს.

15. სამინისტრო უზრუნველყოფს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მზის თერმული ენერგიის შემთხვევაში ხელს შეუწყობს ევროპული სტანდარტების შესაბამისი სერტიფიცირებული მოწყობილობებისა და სისტემების გამოყენებას, მათ შორის, ეკოლოგიურ ეტიკეტირებას, ენერგეტიკულ ეტიკეტირებას და სხვა სტანდარტულ ტექნიკურ სისტემებს, რომლებსაც ევროპული სტანდარტიზაციის ორგანოები დაადგენენ.

16. ამ მუხლის მიზნებისთვის სისტემებისა და მოწყობილობების კონვერსიის ეფექტიანობის, აგრეთვე შემავალი და გამომავალი მაჩვენებლების კოეფიციენტის შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ენერგეტიკული გაერთიანების პროცედურები, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში – საერთაშორისო პროცედურები (თუ ასეთი პროცედურები არსებობს).

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №7023 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 14. საინფორმაციო უზრუნველყოფა და ტრენინგები

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით უზრუნველყოფს მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა მოქმედი მხარისთვის, კერძოდ, მომხმარებლებისთვის, არქიტექტორებისთვის, მშენებლებისთვის, მემონტაჟეებისთვის, გათბობის,

გაგრილების, ელექტრომოწყობილობების, სისტემებისა და განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიაზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების მიმწოდებლებისთვის.

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით უზრუნველყოფს, რომ იმ აღჭურვილობისა და სისტემის, რომლებიც განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის, გათბობისა და გაგრილების მისაღებად გამოიყენება, წმინდა სარგებლის, ღირებულებისა და ენერგოეფექტურობის შესახებ ინფორმაცია ამ აღჭურვილობისა და სისტემის მიმწოდებლებმა ან საქართველოს სხვა კომპეტენტურმა ორგანოებმა ხელმისაწვდომი გახადონ.

3. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით უზრუნველყოფს მემონტაჟეებისთვის მცირემასშტაბიანი ბიომასის ბოილერებისა და ღუმლების, მზის ფოტოელექტრული სისტემებისა და მზის თერმული სისტემების, ზედაპირული გეოთერმული სისტემებისა და თბური ტუმბოების სერტიფიცირების მექანიზმების ან/და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის საფუძველზე შესაბამისი უნარის/კომპეტენციის გამომუშავების მექანიზმების დანერგვას/ხელმისაწვდომობას.

4. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით აღიარებს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის მიერ სათანადო კრიტერიუმების შესაბამისად გაცემულ სერტიფიკატს.

5. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესების გამჭვირვალობისა და დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული სერტიფიცირების მექანიზმების ან/და შესაბამისი უნარის/კომპეტენციის გამომუშავების მექანიზმების საჯაროობას.

6. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სერტიფიცირებული და კვალიფიციური მემონტაჟეების სია ხელმისაწვდომი გახადოს.

7. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით უზრუნველყოფს დამპროექტებლებისთვის, არქიტექტორებისა და სხვა შესაბამისი მხარისთვის სახელმძღვანელო მითითებების ხელმისაწვდომობას, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ტერიტორიების დაგეგმვის, დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს სათანადოდ გაითვალისწინონ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის, მაღალეფექტიანი ტექნოლოგიებისა და ცენტრალური გათბობისა და ცენტრალური გაგრილების კომბინაცია.

8. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების მონაწილეობით შესაბამისი ინფორმაციული, ცნობიერების ასამაღლებელი ან სახელმძღვანელო პროგრამების ან ტრენინგპროგრამების განვითარებას, რათა საქართველოს მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წარმოების განვითარებისა და გამოყენების უპირატესობისა და პრაქტიკულობის შესახებ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №7023 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 15. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის, გათბობისა და გაგრილების წარმოშობის სერტიფიკატები

1. ენერგიის მიმწოდებლის ენერგიის ნაზავში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის ან რაოდენობის საბოლოო მომხმარებლისთვის დასადასტურებლად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და სამინისტრო უზრუნველყოფენ, რომ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის დადასტურება გარანტირებული იყოს ამ კანონის ფარგლებში, ობიექტური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების შესაბამისად. ამ მიზნით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია დადგენილებით ამტკიცებს „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესს“, ხოლო სამინისტრო ბრძანებით ამტკიცებს „განახლებადი წყაროებიდან მიღებული გათბობისა და გაგრილების წარმოშობის

სერტიფიკატების გაცემის წესს“.

2. საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორი განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის მწარმოებლის მოთხოვნის საპასუხოდ გასცემს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატს.

3. სამინისტრო უფლებამოსილია ორგანიზება გაუწიოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული გათბობისა და გაგრილების მწარმოებლების მოთხოვნის საპასუხოდ განახლებადი წყაროებიდან მიღებული გათბობისა და გაგრილების წარმოშობის სერტიფიკატების გაცემას. ეს ღონისძიება შეიძლება დაექვემდებაროს მინიმალური სიმძლავრის შეზღუდვას.

4. განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოების შემთხვევაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატი უნდა იყოს სტანდარტული და იგი გაიცემა 1 მეგავატ-საათი ელექტროენერგიის წარმოებისათვის. წარმოებული ელექტროენერგიის თითოეული ერთეულისთვის მხოლოდ ერთი წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა.

5. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ერთი ერთეული გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ.

6. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სამინისტროს წარდგინების საფუძველზე ენერგიის მწარმოებელს, რომელიც სარგებელს იღებს განახლებადი წყაროებიდან მიღებული იმავე ენერგიის წარმოშობის სერტიფიკატით, სრულად ან ნაწილობრივ გაუუქმოს მხარდაჭერის სქემით სარგებლობის უფლება.

7. წარმოშობის სერტიფიკატი არ არის ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლების შესაბამისობის დადგენის დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოშობის სერტიფიკატის გადაცემა როგორც ცალკე, ისე ენერგიის ფიზიკურ გადაცემასთან ერთად გავლენას არ ახდენს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაზე, განახორციელოს სტატისტიკური ტრანსფერები, ერთობლივი პროექტები ან ერთობლივი მხარდაჭერის სქემები ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლების შესაბამისობის დადგენის მიზნით ან ამ კანონის შესაბამისად განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მთლიანი საბოლოო მოხმარების გამოთვლისას.

8. წარმოშობის სერტიფიკატი გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი ენერგიის წარმოებიდან 12 თვის განმავლობაში.

9. წარმოშობის სერტიფიკატი გამოყენებისთანავე უქმდება.

10. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ზედამხედველობას უწევს საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის, გადაცემისა და გაუქმების პროცესს.

11. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და სამინისტრო ვალდებული არიან დანერგონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს წარმოშობის სერტიფიკატის ელექტრონული ფორმით გაცემას, გადაცემასა და გაუქმებას, რითაც გარანტირებული იქნება მისი სიზუსტე და საიმედოობა და იგი დაცული იქნება გაყალბებისგან.

12. წარმოშობის სერტიფიკატში უნდა აღინიშნოს:

ა) ენერგიის წყარო, რომლიდანაც იწარმოება ენერგია, და მისი წარმოების დაწყებისა და დასრულების თარიღები;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი შეეხება ელექტროენერგიას, გათბობას თუ გაგრილებას;

გ) იმ დანადგარის საიდენტიფიკაციო მონაცემი, ადგილმდებარეობა, ტიპი და სიმძლავრე, რომლის მიერაც არის წარმოებული ენერგია;

დ) თუ ისარგებლა და რამდენად ისარგებლა დანადგარმა საინვესტიციო მხარდაჭერით, თუ ისარგებლა და რამდენად ისარგებლა ენერგიის ერთეულმა ეროვნული მხარდაჭერის სქემით; მხარდაჭერის სქემის ტიპი;

ე) დანადგარის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი;

ვ) წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის თარიღი, გამცემი ქვეყანა და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი.

13. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც ელექტროენერგიის მიმწოდებლის მიერ მესამე მხარისთვის გადაცემულ წარმოშობის სერტიფიკატს შეესაბამება, უნდა გამოაკლდეს მისი ენერგიის ნაზავში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილს.

14. წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც გასცა ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელმა მხარემ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უნდა აღიაროს მხოლოდ, როგორც ამ მუხლის პირველ პუნქტსა და მე-12 პუნქტის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტებში მითითებული ელემენტების დადასტურება. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უფლებამოსილია უარი თქვას წარმოშობის სერტიფიკატის აღიარებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დასაბუთებული ეჭვი შესაბამისი გარანტიის სიზუსტესთან, საიმედოობასთან ან უტყუარობასთან დაკავშირებით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის შესახებ აცნობოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს და წარუდგინოს მას თავისი გადაწყვეტილების დასაბუთება.

15. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უფლებამოსილია გაითვალისწინოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს რეკომენდაცია, რომ წარმოშობის სერტიფიკატი, რომლის აღიარებაზედაც ამ კომისიამ უარი თქვა, აღიარებულ იქნეს.

16. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაადგინოს წარმოშობის სერტიფიკატით სარგებლობის ობიექტური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმები, რომლებიც ამ კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ეს კრიტერიუმები განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესში უნდა აისახოს.

17. თუ ენერგიის მიმწოდებელი განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიას მომხმარებელზე ყიდის განახლებადი წყაროებიდან მიღებული გარემოსდაცვითი ან სხვა სარგებლის მითითებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უფლებამოსილია ამ ენერგიის მიმწოდებელს მოსთხოვოს, რომ მან ინფორმაცია განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის ან რაოდენობის შესახებ, რომელიც წარმოებული იქნება 2022 წლის 18 დეკემბრის შემდეგ ექსპლუატაციაში შესული დანადგარებიდან ან გაზრდილი სიმძლავრიდან, შეჯამებული სახით ხელმისაწვდომი გახადოს.

მუხლი 16. ქსელთან დაშვება და მისი ოპერირება

1. საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ და ქსელის ოპერატორებმა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების ინფრასტრუქტურის, „ჭკვიანი ქსელების“, საცავი მოწყობილობებისა და საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის განსავითარებლად, ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო ოპერირების უზრუნველყოფის მიზნით, ვინაიდან ეს სისტემა ემსახურება განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოების, მათ შორის, საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის, აგრეთვე საქართველოსა და მესამე ქვეყნის ურთიერთკავშირების, განვითარებას.

2. ქსელის საიმედოობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მოთხოვნების დაცვით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა

იქნეს:

ა) რომ საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ გარანტირებული იყოს საკუთარ ტერიტორიაზე განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის გადაცემა და განაწილება;

ბ) განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის ქსელთან პრიორიტეტული ან გარანტირებული დაშვება;

გ) რომ ელექტროენერგიის მწარმოებელი დანადგარების დისპეტჩერიზაციის დროს საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორი განახლებადი წყაროების გამოყენებას უპირატესობას მიანიჭებს იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირება, თუ დაკმაყოფილებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმები;

დ) ქსელსა და ბაზართან დაკავშირებული სათანადო საექსპლუატაციო ღონისძიებების განხორციელება განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის შეზღუდვის მინიმუმამდე შესამცირებლად.

3. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემისა და ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის შესამცირებლად მნიშვნელოვანი ზომების მიღების შემთხვევაში საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას აცნობებს ამ ზომების შესახებ და მიუთითებს მდგომარეობის გამოსასწორებელ იმ ღონისძიებებს, რომელთაც განახორციელებს იგი განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის არასათანადო შემცირების თავიდან ასაცილებლად.

4. საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორმა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა საჯარო უნდა გახადონ სტანდარტული წესები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური ცვლილებებისთვის (ქსელთან მიერთება, ქსელის გაძლიერება, ქსელის ოპერირების გაუმჯობესება) საჭირო ხარჯების გაწევასა და განაწილებასთან, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ არადისკრიმინაციულად შესრულების პირობები, რომლებიც საჭიროა ახალი მწარმოებლის ინტეგრაციისთვის, რომელიც განახლებადი წყაროებიდან წარმოებულ ელექტროენერგიას ურთიერთდამაკავშირებელ ქსელს აწვდის. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესებისა და პირობების შემუშავება და დამტკიცება ხდება „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს და უნდა ითვალისწინებდეს ყველა ხარჯსა და სარგებელს, რომლებიც შესაბამისი მწარმოებლის ქსელთან მიერთებას უკავშირდება, აგრეთვე იმ განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია მაღალმთიან რეგიონებსა და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის მქონე რეგიონებში განთავსებულ მწარმოებლებთან. ამ წესებით შეიძლება დადგინდეს ქსელთან მიერთების სხვადასხვა ტიპი.

6. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორსა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს, რომ მათ სრულად ან ნაწილობრივ გასწიონ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯები. აღნიშნული ხარჯების გაწევასა და განაწილებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და წესების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ღონისძიებები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უნდა განიხილოს და განახორციელოს 2021 წლის 30 ივნისამდე და შემდგომ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ახალი მწარმოებლის ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

7. საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი

ვალდებული არიან განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ახალ მწარმოებელს, რომელსაც სისტემასთან მიერთება სურს, მიაწოდონ ამომწურავი და საჭირო ინფორმაცია ამ კანონის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ შესაბამისად, მათ შორის:

ა) ქსელთან მიერთების სრულყოფილი და დეტალური ხარჯთაღრიცხვა;

ბ) ქსელთან მიერთების მოთხოვნის მიღებისა და დამუშავების გონივრული და ზუსტი ვადები;

გ) ქსელთან მიერთების გონივრული საორიენტაციო გრაფიკი.

8. თუ ქსელის ოპერატორი განახლებად წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურის ქსელთან მიერთებას მესამე პირის მეშვეობით ახორციელებს, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის მწარმოებელს, რომელსაც ქსელთან მიერთება სურს, უნდა ჰქონდეს უფლება, თავად მიიღოს მონაწილეობა იმ შესყიდვის პროცესში, რომლის მიზანია ქსელთან მის მისაერთებლად სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით ან/და შესაბამისი ქსელის ოპერატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და სხვა პრეტენდენტებთან შედარებით უკეთესი პირობების შეთავაზების შემთხვევაში – თავად განახორციელოს ეს სამუშაოები.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული ხარჯები უნდა განაწილდეს ობიექტურ, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებზე დამყარებული მექანიზმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს იმ სარგებელს, რომელსაც პირველ და მომდევნო ეტაპებზე ქსელთან მიერთებული მწარმოებელი, საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ქსელთან მიერთებით იღებენ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უზრუნველყოფს, რომ გადაცემისა და განაწილების ტარიფები არ ახდენდეს განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის დისკრიმინაციას, განსაკუთრებით – მაღალმთიან რეგიონებში, კერძოდ, ენერგეტიკულად იზოლირებულ რეგიონებში, და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის მქონე რეგიონებში. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ასევე უზრუნველყოფს, რომ გადაცემისა და განაწილების ტარიფები განახლებადი წყაროებიდან მიღებული ბუნებრივი გაზის მიმართ დისკრიმინაციული არ იყოს.

11. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უზრუნველყოფს, რომ საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ განახლებად წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილებისთვის დაწესებული ტარიფები ასახავდეს გასაწევ ხარჯებსა და მისაღებ სარგებელს, რომლებიც ელექტროსადგურის ქსელთან მიერთებას უკავშირდება. ამგვარი ხარჯები და სარგებელი შეიძლება წარმოიშვას დაბალი ძაბვის ქსელის პირდაპირი გამოყენებით.

12. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია საჭიროების შემთხვევაში აფასებს არსებული გაზის ქსელის ინფრასტრუქტურის გაზრდის საჭიროებას განახლებადი წყაროებიდან მიღებული გაზის ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

13. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ გადამცემი სისტემის ოპერატორსა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს მოსთხოვს, რომ მათ გამოაქვეყნონ ტექნიკური წესები, რომლებიც ქსელთან მიერთების წესებს უკავშირდება და მოიცავს აგრეთვე ბუნებრივი გაზის ხარისხთან, გაზის ოდორიზაციასა და წნევასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გადამცემი სისტემის ოპერატორსა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს აგრეთვე უნდა მოსთხოვოს ქსელთან მიერთების ტარიფების გამოქვეყნება, რათა გაზის განახლებადი წყაროების ქსელთან მიერთება ობიექტური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების საფუძველზე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად განხორციელდეს.

14. საქართველოს მთავრობა განახლებადი ენერგიის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აფასებს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ცენტრალური გათბობისა და ცენტრალური გაგრილების ინფრასტრუქტურის მშენებლობის საჭიროებას 2030 წელს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად. ამ შეფასების შედეგად საქართველოს მთავრობამ საჭიროების შემთხვევაში უნდა გადადგას ნაბიჯები ცენტრალური გათბობის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, ცენტრალური გათბობისა და ცენტრალური გაგრილების დიდი ზომის ბიომასის, მზისა და გეოთერმული ობიექტებიდან წარმოების განვითარების მიზნით.

მუხლი 17. ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმები

1. ბიოსაწვავისა და ბიოსითხეებისგან მიღებული ენერგია, მიუხედავად იმისა, ნედლეულის კულტივაცია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა თუ მისი ფარგლების გარეთ, ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიზნებისთვის გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ბიოსაწვავისა და ბიოსითხეებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმები:

ა) ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებლებთან დაკავშირებით ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა;

ბ) განახლებად ენერგიასთან დაკავშირებულ ვალდებულებასთან შესაბამისობის განსაზღვრა;

გ) ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მოხმარებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიღების უფლებამოსილება.

2. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო, აკვაკულტურის, მეთევზეობისა და სატყეო ნარჩენების გარდა, სხვა ნარჩენებისგან წარმოებული ბიოსაწვავი და ბიოსითხეები ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებისთვის გასათვალისწინებლად უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ ბიოსაწვავისა და ბიოსითხეებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს.

მუხლი 18. ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმება

1. თუ ბიოსაწვავი და ბიოსითხეები გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიზნებისთვის, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს, დაადასტუროს ბიოსაწვავისა და ბიოსითხეებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მდგრადობის კრიტერიუმების გათვალისწინება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის საქართველოს მთავრობა სამინისტროს წარდგინებით ეკონომიკურ აგენტს უდგენს მასის ბალანსის სისტემის გამოყენების ვალდებულებას, რომელიც:

ა) საშუალებას იძლევა, განხორციელდეს მდგრადობის სხვადასხვა მახასიათებლის მქონე ნედლეულის პარტიების ან ბიოსაწვავის შერევა;

ბ) მოითხოვს, რომ ნარევს თან ახლდეს ინფორმაცია ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ნედლეულის პარტიების მდგრადობის მახასიათებლებისა და ზომების შესახებ;

გ) უზრუნველყოფს, რომ ნარევიდან ამოღებული ყველა ნედლეულის პარტიის ჯამი იმავე რაოდენობით აღწერილ იქნეს მდგრადობის იმავე მახასიათებლებით, რომლებითაც აღწერილია ნარევისთვის დამატებული ყველა ნედლეულის პარტიის ჯამი.

3. სამინისტრო უზრუნველყოფს, რომ ეკონომიკურმა აგენტმა სანდო ინფორმაცია წარადგინოს და უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომი გახადოს ის მონაცემები, რომელთა საფუძველზედაც მომზადდა ეს ინფორმაცია. სამინისტრომ ეკონომიკურ აგენტს უნდა მოსთხოვოს, დანერგოს წარდგენილი ინფორმაციის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების სათანადო სტანდარტები და წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება. დამოუკიდებელმა აუდიტმა უნდა

დაადასტუროს, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ გამოყენებული სისტემები არის ზუსტი, სანდო და გაყალბებისგან დაცული. დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების დროს უნდა შეფასდეს ნიმუშის აღების სიხშირე და მეთოდოლოგია, აგრეთვე მონაცემთა საიმედოობა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ და სათანადო და რელევანტურ ინფორმაციას იმ ზომების თაობაზე, რომლებიც მიღებულ იქნა ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დასაცავად, დეგრადირებული მიწის აღსადგენად და იმ ტერიტორიებზე, სადაც წყლის დეფიციტია, ჭარბი წყლის მოხმარების თავიდან ასაცილებლად.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, ბიოსაწვავი და ბიოსითხეები ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზეა წარმოებული თუ იმპორტირებულია.

6. საქართველოს მთავრობა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ერთიანი ფორმით წარდგენას.

7. ეროვნული და საერთაშორისო ნებაყოფლობითი სქემები, რომლებიც ბიომასის პროდუქტებისთვის სტანდარტებს ადგენს, უნდა შეესაბამებოდეს საიმედოობისა და გამჭვირვალობის სტანდარტებს, აგრეთვე დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების სათანადო სტანდარტებს. თუ ეს სქემები სათბურის გაზის ემისიის სუფთა დანაზოგს ზომავს, ისინი ბიოსაწვავის, ბიოსითხეებისა და მათი წიაღისეული საწვავის კომპარატორების სათბურის გაზის გავლენის გამოთვლის წესებით დადგენილი მეთოდოლოგიის მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.

მუხლი 19. ტრანსპორტში გამოყენებულ განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიასთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები

1. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ტრანსპორტში გამოყენებული ყველა სახის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი სარგებლის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებას. თუ ბიოსაწვავის მინერალური ზეთის დერივატივებთან შერევისას ბიოსაწვავის წილის პროცენტული მაჩვენებელი 10 პროცენტს აჭარბებს, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს მოთხოვნა, რომ ამის შესახებ მიეთითოს გაყიდვების პუნქტებში.

2. ეკონომიკური აგენტებისთვის დაკისრებული, განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიასთან დაკავშირებული საერთო-სახელმწიფოებრივი ვალდებულებებისა და ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებაში გამოყენებული განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ეროვნულ საერთო სამიზნე მაჩვენებელთან შესაბამისობის ჩვენების მიზნით იმ ბიოსაწვავის წილი, რომელიც ნარჩენებისგან, არასასურსათო ცელულოზის მასალისა და ლიგნოცელულოზის მასალისგან მიიღება, სხვა ბიოსაწვავის წილზე ორჯერ მეტად უნდა იქნეს მიჩნეული.

მუხლი 20. საქართველოს მიერ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება

1. საქართველოს მთავრობა 2024 წლის 31 დეკემბრამდე და შემდგომ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს წარუდგენს ანგარიშს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელშეწყობისა და ამ ენერგიის გამოყენების პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშში დეტალურად უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის სექტორული (ელექტროენერგია, გათბობა და გაგრილება, ტრანსპორტი) წილი და მთლიანი წილი გასული 2 კალენდარული წლისთვის, აგრეთვე განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის გასაზრდელად სახელმწიფოებრივ დონეზე მიღებული ან დაგეგმილი ზომები, რომლებიც ითვალისწინებს ამ კანონის I დანართის მე-2 პუნქტით დადგენილ საორიენტაციო მაჩვენებელს ამავე კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად;

ბ) მხარდაჭერის სქემების დანერგვა და ფუნქციონირება, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელშეწყობის მიზნით მიღებული სხვა ზომები, განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები;

გ) საჭიროების შემთხვევაში – ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აქვს საქართველოს მთავრობას მხარდაჭერის სქემები სტრუქტურირებული იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი სახის განახლებადი ენერგიის გამოყენება სხვა სახის ენერგიის გამოყენებასთან შედარებით დამატებით სარგებელს იძლევა, თუმცა შესაძლებელია უფრო მეტი ხარჯის გაწევას მოითხოვდეს, კერძოდ, ნარჩენებისგან, არასასურსათო ცელულოზის მასალისა და ლიგნოცელულოზის მასალისგან მიღებული ბიოსაწვავის გამოყენება;

დ) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის, გათბობისა და გაგრილების წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის სისტემის ფუნქციონირება, აგრეთვე ამ სისტემის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და მისი გაყალბების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ღონისძიებები;

ე) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წარმოების განვითარების რეგულაციური და არარეგულაციური ბარიერების მოხსნის მიზნით განხორციელებული ადმინისტრაციული პროცედურების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში მიღწეული პროგრესი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში – განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების უზრუნველყოფის წესის, აგრეთვე ამ კანონის მე-16 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევისა და განაწილების წესების გასაუმჯობესებლად მიღებული ზომები;

ზ) ბიომასის რესურსების ენერგეტიკული მიზნებისთვის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების გაზრდა;

თ) საქართველოს ტერიტორიაზე სამომხმარებლო საქონლის ფასისა და მიწათსარგებლობის ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია ბიომასისა და განახლებადი წყაროებიდან მიღებული სხვა სახის ენერგიის გაზრდილ გამოყენებასთან;

ი) ნარჩენებისგან, არასასურსათო ცელულოზის მასალისა და ლიგნოცელულოზის მასალისგან მიღებული ბიოსაწვავის განვითარება და წილი;

კ) ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების წარმოების სავარაუდო ზემოქმედება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე, წყლის რესურსებზე, წყლის ხარისხსა და ნიადაგის ხარისხზე;

ლ) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის გამოყენებით სათბურის გაზის ემისიის სავარაუდო სუფთა დანაზოგი;

მ) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის საორიენტაციო მაჩვენებელთან შედარებით სავარაუდო ჭარბი წარმოება, რომელიც შეიძლებოდა გადასცემოდა ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელ მხარეს, აგრეთვე ერთობლივი პროექტების სავარაუდო პოტენციალი 2030 წლამდე;

ნ) განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიაზე სავარაუდო მოთხოვნილება, რომელიც 2030 წლამდე, ეროვნული წარმოების გარდა, სხვა საშუალებით უნდა დაკმაყოფილდეს;

ო) ენერგიის წარმოებისთვის გამოყენებული ნარჩენების შემადგენლობაში ბიოდეგრადირებადი ნარჩენების წილის გამოთვლისთვის, აგრეთვე გამოთვლის გაუმჯობესებისა და გადამოწმებისთვის გადადგმული ნაბიჯები.

3. ბიოსაწვავის გამოყენებით სათბურის გაზის ემისიის სუფთა დანაზოგის გამოთვლისას საქართველოს მთავრობამ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის მიზნებისთვის შეიძლება გამოიყენოს ამ კანონის შესაბამისად ბიოსაწვავის, ბიოსითხეებისა და მათი წიაღისეული საწვავის

კომპარატორების სათბურის გაზის გავლენის გამოთვლის წესებით განსაზღვრული ტიპური სიდიდეები.

4. საქართველოს მთავრობამ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის წარდგენილ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირველ ანგარიშში უნდა მიუთითოს, გეგმავს თუ არა:

ა) შექმნას ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება განახლებადი ენერგიის დანადგარების ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების შესახებ განაცხადების დამუშავებისთვის, აგრეთვე განმცხადებლებისთვის დახმარების გაწევისთვის;

ბ) უზრუნველყოს განახლებადი ენერგიის დანადგარების დაპროექტებისა და შესაბამისი ნებართვის მიღების შესახებ განაცხადების ავტომატური დამტკიცება, თუ ამ დანადგარების ავტორიზაციის უფლებამოსილების მქონე ორგანო დადგენილ ვადაში პასუხს არ იძლევა;

გ) განსაზღვროს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და ცენტრალური გათბობისა და ცენტრალური გაგრილების ჩამოყალიბებისთვის ექსპლუატაციის შესაფერისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.

5. საქართველოს მთავრობას შეუძლია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშში შეასწოროს წინა ანგარიშის მონაცემები.

მუხლი 21. გარდამავალი დებულებები

1. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე ამ ტერიტორიებზე წარმოებული ან/და მოხმარებული განახლებადი და არაგანახლებადი (წიაღისეული) წყაროებიდან მიღებული ენერგია არ გაითვალისწინება ამ კანონის მიზნებისთვის, გარდა ენგურჰესისა და ვარდნილჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიისა, რომელიც საქართველოს იმ ტერიტორიას მიეწოდება, რომელზედაც სრულად ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. ამ კანონის მიზნებისთვის აგრეთვე არ გაითვალისწინება ის ენერგია, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს ენერგიის უკმარისობის დროს მიეწოდა.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება განახლებად წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურის მშენებლობასთან, ფლობასთან ან/და ოპერირებასთან დაკავშირებულ შეთანხმებებზე, რომლებიც ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ძალაში შესვლამდე გაფორმდა.

3. თუ განახლებად წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის ან/და ოპერირების უფლება მოპოვებულია „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონით გათვალისწინებული მხარდაჭერის სქემები ან/და სხვა მექანიზმები, მათ შორის, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ შეთანხმებები, რაც განისაზღვრება საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

4. განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოების მოწყობილობების მემონტაჟეების სერტიფიცირების წესების დამტკიცებამდე შესაბამისი ურთიერთობები დარეგულირდეს ამ წესების დამტკიცებამდე არსებული წესით.

5. საქართველოს მთავრობამ სამინისტროს წარდგინებით, ამ კანონის ამოქმედებიდან:

ა) 6 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის გამოთვლის მეთოდოლოგიის დამტკიცება;

ბ) 12 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება;

გ) 12 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემების დამტკიცება;

დ) 18 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის, გარდა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერგიისა, წარმოების წახალისების კონკურენტული აუქციონის გამოცხადებისა და ჩატარების წესისა და განახლებადი წყაროებიდან ენერგიის პრივილეგიური მწარმოებლის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესის დამტკიცება;

ე) 19 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის წარმოების წახალისების კონკურენტული აუქციონის გამოცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცება;

ვ) 24 თვის ვადაში უზრუნველყოს ბიოსაწვავის, ბიოგაზისა და ბიოსითხის სერტიფიცირებისა და შესაბამისობის დადგენის წესების დამტკიცება;

ზ) 24 თვის ვადაში უზრუნველყოს ბიოსაწვავის, ბიოგაზისა და ბიოსითხის წარმოების ლიცენზირებისა და ფასწარმოქმნის წესების დამტკიცება;

თ) 24 თვის ვადაში უზრუნველყოს ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმების დადგენა;

ი) 24 თვის ვადაში უზრუნველყოს ბიოსაწვავის, ბიოსითხეებისა და მათი წიაღისეული საწვავის კომპარატორების სათბურის გაზის გავლენის გამოთვლის წესების დამტკიცება.

6. საქართველოს მთავრობამ უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით, ამ კანონის ამოქმედებიდან:

ა) 1 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესის დამტკიცება;

ბ) 1 თვის ვადაში უზრუნველყოს თბური ტუმბოებიდან მიღებული ენერგიის აღრიცხვის წესის დამტკიცება;

გ) 12 თვის ვადაში უზრუნველყოს თბური ტუმბოების ეკოლოგიური ეტიკეტირების მინიმალური მოთხოვნების შესახებ კანონქვემდებარე აქტის მიღება;

დ) 12 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სერტიფიცირებული და კვალიფიციური მემონტაჟეების სიის დამტკიცება;

ე) 24 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის პრივილეგიურ მწარმოებელთან გასაფორმებელი ფასთა სხვაობის ხელშეკრულების სტანდარტული ფორმისა და განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოების მოწყობილობების მემონტაჟეების სერტიფიცირების წესების დამტკიცება.

7. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ამ კანონის ამოქმედებიდან:

ა) 24 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცება;

ბ) 24 თვის ვადაში უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

8. სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან:

ა) 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ჰიდროენერგიისა და ქარის ენერგიისგან გამომუშავებული ელექტროენერგიის აღრიცხვის ნორმალიზაციის წესის დამტკიცება;

ბ) 24 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული გათბობისა და გაგრილების წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის წესის დამტკიცება.

მუხლი 22. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

20 დეკემბერი 2019 წ.

N5652-რს

I დანართი

2030 წლისთვის დადგენილი ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის საქართველოს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები		
1. ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები		
	ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარება-ში განახლება-დი წყაროები-დან მიღებული ენერგიის წილი, 2019 (S_{2019})	ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილის ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები, 2030 (S_{2030})
	29.5%	35%
2. საორიენტაციო მაჩვენებელი		
ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საორიენტაციო მაჩვენებელი უნდა შედგებოდეს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის შემდეგი წილებისგან:		
$S_{2019} + 0.20 (S_{2030} – S_{2019})$, როგორც საშუალო მაჩვენებელი 2-წლიანი პერიოდისთვის (2021-2022);		
$S_{2019} + 0.30 (S_{2030} – S_{2019})$, როგორც საშუალო მაჩვენებელი 2-წლიანი პერიოდისთვის (2023-2024);		
$S_{2019} + 0.45 (S_{2030} – S_{2019})$, როგორც საშუალო მაჩვენებელი 2-წლიანი პერიოდისთვის (2025-2026);		
$S_{2019} + 0.65 (S_{2030} – S_{2019})$, როგორც საშუალო მაჩვენებელი 2-წლიანი პერიოდისთვის (2027-2028),		
სადაც:		
S_{2019} = საქართველოს წილი 2019 წელს, რომელიც მოცემულია ამ დანართის პირველ პუნქტში;		
S_{2030} = საქართველოს წილი 2030 წელს, რომელიც მოცემულია ამ დანართის პირველ პუნქტში.		

3. ამ დანართით გათვალისწინებული ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად და გარემოს დასაცავად სახელმწიფო დახმარების სახელმძღვანელო წესები უნდა აღიარებდეს განახლებადი ენერგიის წყაროების წასახალისებლად მხარდაჭერის ეროვნული მექანიზმების განგრძობადი არსებობის საჭიროებას.

II დანართი

სატრანსპორტო საწვავში ენერგიის შემცველობა		
საწვავის სახეობა	ენერგიის შემცველობა საწვავის წონის მიხედვით (უფრო დაბალი თბოუნარიანობა, მგჯ/კგ)	ენერგიის შემცველობა საწვავის მოცულობის მიხედვით (უფრო დაბალი თბოუნარიანობა, მგჯ/ლ)
ბიოეთანოლი (ბიომასისგან წარმოებული ეთანოლი)	27	21
ბიო-ეთილ-ტერტ-ბუთილის ეთერი (ETBE) (წარმოებული ბიოეთანოლის საფუძველზე)	36 (აქედან 37% მიღებულია განახლებადი წყაროებიდან)	27 (აქედან 37% მიღებულია განახლებადი წყაროებიდან)
ბიომეთანოლი (ბიომასისგან წარმოებული მეთანოლი, რომელიც ბიოსაწვავად გამოიყენება)	20	16
ბიო-მეთილ-ტერტ-ბუთილის ეთერი (MTBE) (წარმოებული ბიომეთანოლის საფუძველზე)	35 (აქედან 22% მიღებულია განახლებადი წყაროებიდან)	26 (აქედან 22% მიღებულია განახლებადი წყაროებიდან)
ბიო-დიმეთილეთერი (DME) (ბიომასისგან წარმოებული დიმეთილეთერი, რომელიც ბიოსაწვავად გამოიყენება)	28	19
ბიო-ტერტ-ამილ-ეთილ-ეთერი (TAEE) (წარმოებული ბიოეთანოლის საფუძველზე)	38 (აქედან 29% მიღებულია განახლებადი წყაროებიდან)	29 (აქედან 29% მიღებულია განახლებადი წყაროებიდან)
ბიობუტანოლი (ბიომასისგან წარმოებული ბუტანოლი, რომელიც ბიოსაწვავად გამოიყენება)	33	27
ბიოდიზელი (მცენარეული ან ცხოველური ზეთისგან წარმოებული დიზელის ხარისხის მეთილეთერი, რომელიც ბიოსაწვავად გამოიყენება)	37	33
ფიშერ-ტროფშის დიზელის საწვავი (ბიომასისგან წარმოებული სინთეზური ნახშირწყალბადი ან სინთეზური ნახშირწყალბადების ნარევი)	44	34

ჰიდრირებული მცენარეული ზეთი (წყალბადით თერმოქიმიურად გაწმენდილი მცენარეული ზეთი)	44	34
სუფთა მცენარეული ზეთი (ზეთოვანი კულტურისგან დაწნეხის, მოპოვების ან მსგავსი პროცედურის გამოყენებით წარმოებული, ნედლი ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიურად უცვლელი ზეთი, რომელიც ძრავის ტიპებთან თავსებადია და აკმაყოფილებს ემისიის შესაბამის მოთხოვნებს)	37	34
ბიოგაზი (ბიომასის ან/და ბიოლოგიური წარმოშობის ნარჩენის ბიოდეგრადირებადი ნაწილისგან მიღებული საწვავი გაზი, რომელიც შეიძლება გაიწმინდოს ბუნებრივი გაზის ხარისხამდე და ბიოსაწვავად იქნეს გამოყენებული, ან ხის მასალისგან მიღებული გაზი)	50	34
ბენზინი	43	32
დიზელი	43	36